962

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 23 (183) 20 აგვისტო 1962 წელი

შინაარსი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

360. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კონგოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. ს. ნემჩინის დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

361. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის ლეიტენანტ ბ. პ. პრუდნიკოვის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრის ამხ. პ. ნ. კოსტენკოს მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

362. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. პოიარკოვას მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

363. გრძანებულება სსრ კავშირის უმღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-პოლკოვნიკ ი. ვ. ბოლდინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

364. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტ. დ. ლისენკოს სახელობის სრულიად საკავშირო სასელექციო-გენეტიკური ინსტიტუტის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

365. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლ. ვ. პუსტოვალოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

366. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. მ. სამარინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

367. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სერჟანტ ვ. ა. აგეევის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

368. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის უფროსის ლეიტენანტის ი. ა. კორნეევის და მილიციის ლეიტენანტის ნ. ი. დევიატკინის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

369 ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის ორგანოს ნ. ი. ჟელმანის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

370. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ხიდების მშენებელთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

371. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ხიდების № 1 სამშენებლო სამმართველოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

372. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ხიდების № 2 სამშენებლო სამმართველოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

373. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის „გიპროტრანსმოსტის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

374. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ვ. ი. დიკუშინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

375. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინომსახიობ ბ. თ. ანდრეევისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

376. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩეხოსლოვაკი მოქალაქეების იან პროხაზკას და ემილია პროხაზკოვას სამამულო ომის II ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

377. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისა და ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის წარმოების წესის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ.

378. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ.

განყოფილება მეორე

379. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

380. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

360 **კონგოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. ს. ნემჩინის დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს სერგი სერგის ძე ნემჩინი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კონგოს რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 4 აგვისტო.

№ 354-VI.

განყოფილება მეორე

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

361 **მილიციის ლეიტენანტ ბ. პ. პრუდნიკოვის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრის ამხ. პ. ნ. კოსტენკოს მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ**

დამნაშავის დაკავების დროს გამოჩენილი თავგანწირული მოქმედებისა და გმირობისათვის მილიციის ლეიტენანტი ბორის პროხორის ძე **პრუდნიკოვი** და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრი ამხ. პეტრე ნიკოლოზის ძე **კოსტენკო** დაჯილდოვდნენ მედლით „**მამაცობისათვის**“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 8 აგვისტო.

№ 371-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

362 **ამხ. ვ. ი. პოიარკოვას მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ**

ბავშვების სიცოცხლის გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულობისათვის ამხ. ვალენტინა ივანეს ასული **პოიარკოვა** დაჯილდოვდეს მედლით „**მამაცობისათვის**“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 8 აგვისტო.

№ 372-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

363 გენერალ-პოლკოვნიკ ი. ვ. ბოლდინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო გენერალ-პოლკოვნიკი ივანე ვასილის ძე **ბოლდინი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 9 აგვისტო.
№ 375-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

364 ტ. დ. ლისენკოს სახელობის სრულიად საკავშირო სასელექციო-გენეტიკური ინსტიტუტის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ტ. დ. ლისენკოს სახელობის სრულიად საკავშირო სასელექციო-გენეტიკური ინსტიტუტის დაარსების ორმოცდაათი წლისთავის გამო და ბიოლოგიურ მეცნიერებაში მიჩურინული მიმართულების განვითარებაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი მაღალმოსავლიანი ჯიშების გამოყვანისა და წარმოებაში დანერგვისათვის, **ტ. დ. ლისენკოს სახელობის სრულიად საკავშირო სასელექციო-გენეტიკური ინსტიტუტი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 11 აგვისტო.
№ 382-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

365 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლ. ვ. პუსტოვალოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გეოლოგიურ მეცნიერების დარგში დამსახურების, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და დაბადების სამოცი წლისთავის გამო სსრ კავშირის

მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეონიდ ვასილის ძე პუსტოვალოვი დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 11 აგვისტო.
№ 380-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

366 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. მ. სამარინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

შავი მეტალურგიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავის გამო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე მიხეილის ძე **სამარინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 13 აგვისტო.
№ 394-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

367 სერჟანტ ვ. ა. აგეევის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

კომანდირის სიცოცხლის გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის სერჟანტი ვლადიმერ ათანასეს ძე **აგეევი** დაჯილდოვდეს მედლით **„მამაცობისათვის“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 14 აგვისტო.
№ 396-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

368 მილიციის უფროსი ლეიტენანტის ი. ა. კორნეევის და მილიციის ლეიტენანტის ნ. ი. დევიატკინის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს თავგანწირული მოქმედებისათვის მილიციის უფროსი ლეიტენანტი იური ალექსანდრეს ძე **კორნეევი** და

მილიციის ლეიტენანტი ნიკოლოზ ივანეს ძე **დევიატკინი** დაჯილდოვდნენ მედ-
ლით **„მამაცობისათვის“.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 14 აგვისტო.
№ 397-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

369 საბჭოთა არმიის რიგითი ნ. ი. ჟელმანის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა დაკავების დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის რიგითი ნიკოლოზ ივანეს ძე **ჟელმანი** დაჯილდოვდეს მედლით **„მამაცობისათვის“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 14 აგვისტო.
№ 398-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

370 სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ხიდების მშენებელთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ხიდების მშენებლობის დარგში მიღწეული თვალსაჩინო საწარმოო წარმატებებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“:**

1. სერგი პავლეს ძე **ვდოვიცინს** — ხიდების № 5 სამშენებლო რაზმის მემონტაჟეთა ბრიგადირს.

2. ნიკოლოზ ტაფანის ძე **გლუშკოს** — ხიდების № 2 სამშენებლო რაზმის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

3. დიმიტრი ვასილის ძე **გუსაკს** — ხიდების № 12 სამშენებლო ბაზის ამწის მემანქანეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 14 აგვისტო.
№ 399-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

371 სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ხიდების № 1 სამშენებლო სამმართველოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ხიდების მშენებლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და ხიდების სამამულო მშენებლობის განვითარების დარგში მიღწევებისათვის სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს **ხიდების № 1 სამშენებლო სამმართველო** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 14 აგვისტო.
№ 401-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

372 სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ხიდების № 2 სამშენებლო სამმართველოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთის რაიონებში ხიდების მშენებლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და ხიდების სამამულო მშენებლობის განვითარების დარგში მიღწევებისათვის სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს **ხიდების № 2 სამშენებლო სამმართველო** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოკი, კრემლი. 1962 წლის 14 აგვისტო.
№ 402-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

373 სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის „გიპროტრანსმოსტის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ხიდების დაპროექტებაში დიდი მიღწევებისათვის და ხიდების მშენებლობაში ასაწყობი რკინა-ბეტონის პროგრესული კონსტრუქციების წარმატებით დამუშავებისა და დანერგვისათვის სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლო-

ბის სამინისტროს **საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი „გიპროტრანსმოსტი“** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 14 აგვისტო.
№ 403-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

374 აკადემიკოს ვ. ი. დიკუშინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი სამეცნიერო-ტექნიკური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცი წლისთავის გამო აკადემიკოსი ვლადიმერ ივანეს ძე **დიკუშინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1962 წლის 15 აგვისტო.
№ 407-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

375 კინომსახიობ ბ. თ. ანდრეევისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის კინომსახიობ ბორის თევდორეს ძე **ანდრეევს** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1962 წლის 15 აგვისტო.
№ 408-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

376 ჩეხოსლოვაკი მოქალაქეების იან პროხაზკას და ემილია პროხაზკოვას სამამულო ომის II ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის პერიოდში ფაშისტთა ტყვეობისაგან გამოქცეული საბჭოთა მებრძოლების გადარჩენის დროს გმირობის გამოჩენისათვის ჩეხო-

სლოვაკი მოქალაქეები იან **პროხაზკა** და ემილია **პროხაზკოვა** დაჯილდოვდნენ **სამამულო ომის II ხარისხის** ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი. კრემლი. 1962 წლის 16 აგვისტო.
№ 409-VI.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ტ. დ. ლისენკოს სახელობის სრულიად საკავშირო სასელექციო-გენეტიკური ინსტიტუტის დაარსების ორმოცდაათი წლისთავის გამო და ბიოლოგიურ მეცნიერებაში მიჩურინული მიმართულების განვითარებაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი მაღალმოსავლიანი ჯიშების გამოყვანისა და წარმოებაში დანერგვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 11 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ტ. დ. ლისენკოს სახელობის სრულიად საკავშირო სასელექციო-გენეტიკური ინსტიტუტის მუშაკები.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია: პროკოფი თომას ძე გარკავი — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ქერის სელექციის განყოფილების გამგე; დონატ ალექსანდრეს ძე დოლგუშინი — ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში; თევდორე გრიგოლის ძე კირიჩენკო — ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ხორბლის სელექციის განყოფილების გამგე; ალექსანდრე სამსონის ძე მუსიიკო — ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის დირექტორი, სიმინდის სელექციის განყოფილების გამგე.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 4 კაცი, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 7 და მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 12 კაცი.

* * *

რკინიგზის, საავტომობილო გზებისა და საქალაქო ხიდების მშენებლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და ხიდების სამამულო მშენებლობის განვითარებაში მიღწევებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლო-

ბის სამინისტროს ორგანიზაციების 303 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია: ხიდების № 441 სამშენებლო მატარებლის ხარატი პ. ს. ჟულიკოვი, ხიდების № 428 სამშენებლო მატარებლის მემონტაჟეთა ბრიგადირი ვ. ი. მიხაილოვი, ხიდების № 480 სამშენებლო მატარებლის უფროსი ნ. ი. მიხინი, ხიდების № 432 სამშენებლო მატარებლის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ვ. პ. ოვეჩკო, ხიდების № 424 სამშენებლო მატარებლის ხურო ს. ი. პეტრუშოვი, ხიდების № 410 სამშენებლო მატარებლის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ი. ი. პუდნიკი, ხიდების № 802 სამშენებლო მატარებლის ოსტატი ვ. თ. რადეცკი და ხიდების № 420 სამშენებლო მატარებლის ხუროთა ბრიგადირი დ. პ. სტაროსტინი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 32 კაცი, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 81, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 102 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 80 კაცი.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

377 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისა და ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის წარმოების წესის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისა და ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის წარმოების წესის შესახებ (თან ერთვის).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 27 ივლისი.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 27 ივლისის
ბრძანებულებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისა და ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის წარმოების წესის შესახებ

I

ადმინისტრაციული კომისიების ამოცანები და მათი ორგანიზაციის წესი

მ უ ხ ლ ი 1. ადმინისტრაციული კომისიები არსებობენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (ქალაქებში, რომელთაც რაიონული დაყოფა არა აქვთ) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და იქმნებიან მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების მიერ საბჭოების დეპუტატების რიცხვიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან თავმჯდომარის (შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ან წევრის), თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და კომისიის არანაკლებ 4 წევრის შემადგენლობით.

ადმინისტრაციული კომისიები თავის საქმიანობაში ეყრდნობიან საზოგადოებრიობის ფართო აქტივს.

მ უ ხ ლ ი 2. ადმინისტრაციული კომისიების მთავარ ამოცანას წარმოადგენს მოქალაქეთა აღზრდა საბჭოთა კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველობითი მოპყრობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლებების, პატიოსნებისა და ღირსებისადმი პატივისცემისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით.

მ უ ხ ლ ი 3. ადმინისტრაციული კომისიები განიხილავენ საქმეებს ადმინისტრაციულ დარღვევათა შესახებ, რომლებისათვისაც პასუხისმგებლობა პირდაპირ გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების, საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების აქტებით, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 4. ადმინისტრაციული დარღვევის ჩამდენი პირის მიმართ ადმინისტრაციულ კომისიებს შეუძლიათ გამოიყენონ ერთ-ერთი შემდეგი სასჯელი თაგანი:

ა) გაფრთხილება;

ბ) ჯარიმა;

გ) სხვა სასჯელი, გათვალისწინებული იმ აქტით, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას მოცემული სახის დარღვევისათვის.

მ უ ხ ლ ი 5. გაფრთხილება გამოიყენება როგორც ადმინისტრაციული სასჯელის დამოუკიდებელი ზომა, თუ ეს გათვალისწინებულია აქტით, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას მოცემული სახის დარღვევისათვის, ასევე დამრღვევის დაჯარიმების ნაცვლად.

მ უ ხ ლ ი 6. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია აქტით, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას მოცემული სახის დარღვევისათვის, ჩადენილი დარღვევის სიმძიმის, დამნაშავის პიროვნებისა და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

მ უ ხ ლ ი 7. ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ ადმინისტრაციული კომისია, როგორც წესი, აცნობებს საზოგადოებრიობას დამრღვევის მუშაობის, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მ უ ხ ლ ი 8. ადმინისტრაციული კომისიის დადგენილება ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს თვით ადმინისტრაციული კომისიის მიერ, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, რომელთანაც არსებობს კომისია.

მ უ ხ ლ ი 9. ადმინისტრაციულ კომისიას უფლება აქვს ადმინისტრაციული სასჯელის დადების ნაცვლად მასალები დამრღვევის მიმართ გადასცეს ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას დამრღვევის მუშაობის, სწავლის ან საცხევრებელი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად.

მ უ ხ ლ ი 10. ადმინისტრაციულ კომისიას უფლება აქვს მოთხოვოს დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს საჭირო დოკუმენტები, აგრეთვე გამოიძახოს თანამდებობის პირები და მოქალაქენი ცნობების მისაღებად იმ საკითხებზე, რომლებსაც იხილავს კომისია.

მ უ ხ ლ ი 11. თუ ადმინისტრაციულ დარღვევის შესახებ საქმის განხილვისას დადგინდება, რომ დარღვევა თავისი ხასიათით დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, ადმინისტრაციული კომისია მასალებს დამრღვევის მიმართ აგზავნის მილიციის ორგანოებში ან პროკურატურაში.

მ უ ხ ლ ი 12. ადმინისტრაციულ კომისიებს შეუძლიათ განიხილონ საქმეები ადმინისტრაციულ დარღვევათა შესახებ დამრღვევის მუშაობის, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მ უ ხ ლ ი 13. ადმინისტრაციული კომისიების საქმიანობის ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

მ უ ხ ლ ი 14. ადმინისტრაციული კომისიები მთელ თავის საქმიანობაში პასუხისმგებელნი არიან მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 15. ადმინისტრაციული კომისიების საქმისწარმოება და ტექნიკური მომსახურება ეკისრებათ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

II

ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის წარმოების წესი

მ უ ხ ლ ი 16. ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის წარმოების ამოცანას წარმოადგენს დამნაშავეთა დადგენა და კანონმდებლობის სწორი გამოყენების უზრუნველყოფა იმ მხრივ, რომ ადმინისტრაციული დარღვევის თითოეული ჩამდენის მიმართ გამოყენებულ იქნას ადმინისტრაციული ზემოქმედების სამართლიანი ზომები.

მ უ ხ ლ ი 17. საქმე ადმინისტრაციული დარღვევის შესახებ არ აღიძვრება, ადმინისტრაციული სასჯელი არ შეეფარდება, ხოლო დადებული სასჯელი არ მოიყვანება სისრულეში და საქმე უნდა შეწყდეს:

ა) თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქმის აღძვრის ან განხილვის მომენტისათვის გავიდა ერთ თვეზე მეტი ადმინისტრაციული დარღვევის ჩადენის დღიდან;

ბ) თუ გავიდა ხანდაზმულობის 3 თვიანი ვადა, რომელიც დაწესებულია ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულებისათვის;

გ) თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქმის აღძვრის ან განხილვის მომენტისათვის გაუქმებულ იქნა აქტი, რომელიც ადგენს ამ პასუხისმგებლობას;

დ) თუ იმ პირს, რომელმაც ჩაიდინა ადმინისტრაციული დარღვევა, დარღვევის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებია 16 წელი.

მ უ ხ ლ ი 18. თუ ის პირი, რომელსაც დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, ერთი წლის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ ადმინისტრაციულ დარღვევას, მაშინ იგი არ ჩაითვლება ადმინისტრაციული სასჯელის მქონედ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულია სხვა ვადები.

მ უ ხ ლ ი 19. ადმინისტრაციული დარღვევის ჩადენის ფაქტს ადგენენ სათანადო თანამდებობის პირები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები (საზოგადოებრივი კონტროლიორები და ინსპექტორები, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრები და სხვ.), რომელთაც ეს უფლება მიცემული აქვთ სსრ კავშირის კანონმდებლობით ან საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

თანამდებობის პირებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ სათანადო დოკუმენტები ან დაწესებული ფორმის

ნიშნები, რომლებიც წარდგენილ უნდა იქნას ადმინისტრაციული დარღვევის ჩამდენი პირის მოთხოვნისთანავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 20. თითოეული ადმინისტრაციული დარღვევის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ჯარიმა ადგილზე უნდა გადახდეს, შედგება ოქმი (აქტი) დაწესებული ფორმის მიხედვით.

ადმინისტრაციულ დარღვევის შესახებ ოქმში (აქტში) უნდა იქნას აღნიშნული ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი; იმ პირის თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი, რომელმაც ოქმი შეადგინა; დამრღვევის გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, საქმიანობა (მომუშავეთათვის — ხელფასის ოდენობა), საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დამრღვევის პიროვნებას, ადმინისტრაციული დარღვევის დრო, ადგილი და არსი; აქტის დასახელება, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დარღვევის მოცემული სახისათვის; გვარები და მისამართი მოწმეთა (დამსწრეთა) და დაზარალებულის, თუ ისინი არიან.

თუ დამრღვევს არ გააჩნია დოკუმენტები, რომლებიც მის პიროვნებას დაადასტურებს, და არ არიან მოწმენი, რომელთაც შეუძლიათ მისცენ საჭირო მონაცემები დამრღვევის შესახებ, ის შეიძლება მიყვანილ იქნას მილიციის განყოფილებაში, სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასკომში, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის შტაბში პიროვნების გამოსარკვევად და ოქმის (აქტის) შესადგენად.

მ უ ხ ლ ი 21. ოქმს (აქტს) ხელს უნდა აწერდნენ თანამდებობის პირი ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელმაც იგი შეადგინა და ის პირი, რომელმაც ადმინისტრაციული დარღვევა ჩაიდინა.

თუ არიან მოწმენი და დაზარალებული, ოქმს (აქტს) შეიძლება ხელს აწერდნენ აგრეთვე ეს პირებიც.

იმ შემთხვევაში, როცა დამრღვევი უარს აცხადებს ოქმის (აქტის) ხელის მოწერაზე, ამის შესახებ მასში კეთდება სპეციალური ჩანაწერი, რომელსაც ადასტურებენ დამსწრენი.

პიროვნებას, რომელმაც ჩაიდინა ადმინისტრაციული დარღვევა, შეუძლია თავისი ხელით შეიტანოს ოქმში (აქტში) ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის (აქტის) შინაარსის არსებითობაზე, ხელის მოწერის უარის თქმის მოტივები და ა. შ.

მ უ ხ ლ ი. 22. ოქმი (აქტი) ეგზავნება სათანადო ადმინისტრაციულ კომისიას ან სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომელთაც მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციული სასჯელის დადების უფლება.

თუ დარღვევა დაკავშირებულია ზიანის მიყენებასთან (ტყის სარგებლობის წესის დარღვევა, თევზის უკანონო ჭერა, უკანონო ნადირობა და სხვა), ოქმი (აქტი) შედგება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი დაერთვის სასამართლოში გასაგზავნ სასარჩელო განცხადებას.

მ უ ხ ლ ი 23. ოქმი (აქტი) იმ ადმინისტრაციული დარღვევის შესახებ, რომელიც ჩაიდინა სამხედრო მოსამსახურემ ან შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების რიგითმა ან უფროსთა შემადგენლობის პირმა და რასაც მოსდევს ადმინისტრაციული წესით დაჯარიმება, ეგზავნება შესაბამის სამხედრო ნაწილის უფროსს, დაწესებულების უფროსს.

მ უ ხ ლ ი 24. დარღვევის ადგილზე ჯარიმის გადახდევინების დროს ოქმი (აქტი) არ შედგება, ჯარიმის გადახდის შესახებ გაიცემა დაწესებულ[illegible] ქვითარი, რისთვისაც მილიციის მუშაკები და სხვა თანამდებობის პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ადგილზე ჯარიმის გადახდევინების უფლება, მარაგდებიან სპეციალური საქვითრო წიგნაკებით დანომრილი ფურცლებით — ქვითრებით.

მ უ ხ ლ ი 25. დარღვევის ადგილზე ჯარიმის გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში დამრღვევი ვალდებულია უჩვენოს თავისი მისამართი და ხელი მოაწეროს საქვითრო წიგნაკში დაჯარიმების შესახებ და ჯარიმა შეიტანოს 3 დღის ვადაში მილიციის განყოფილებაში ან სხვა ორგანოში, რომლის თანამდებობის პირმაც იგი დააჯარიმა.

იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევმა უარი განაცხადა ადგილზე ჯარიმის გადახდაზე ან საქვითრო წიგნაკში ხელის მოწერაზე და თავისი მისამართის ჩვენებაზე, აგრეთვე თუ წარმოიშვა ეჭვი მის მიერ ნაჩვენებ მისამართისა და გვარის სისწორეში და არ არიან მოწმენი, იგი შეიძლება მიყვანილ იქნას მილიციის განყოფილებაში, სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასკომში, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის შტაბში პიროვნების გამოსარკვევად და ოქმის (აქტის) შესადგენად.

III

ადმინისტრაციული კომისიების მიერ ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის განხილვის წესი

მ უ ხ ლ ი 26. საფუძველს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქმის განსახილველად წარმოადგენს ოქმი (აქტი) ადმინისტრაციული დარღვევის შესახებ, რომელიც შეადგინა თანამდებობის პირმა ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

მ უ ხ ლ ი 27. საქმეს ადმინისტრაციული დარღვევის შესახებ განიხილავს ადმინისტრაციული კომისია დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ოქმის (აქტის) მიღებიდან 10 დღის ვადაში.

საქმეებს იმ დარღვევების შესახებ, რომლებიც ჩაიდინეს საწარმოთა, დაწესებულებათა ან ორგანიზაციათა თანამდებობის პირებმა მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული კომისია განიხილავს ამავე ვადაში საწარმოთა, დაწესებულებათა ან ორგანიზაციათა ადგილსამყოფელის მიხედვით.

მ უ ხ ლ ი 28. ადმინისტრაციული კომისია საქმეებს განიხილავს ღია სხდომაზე, რომელიც უნდა ტარდებოდეს, როგორც წესი, არასამუშაო დროს. კომისიის სხდომის დღის შესახებ ეცნობება პროკურორს.

კომისიის სხდომა ითვლება უფლებამოსილად, თუ მასში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ ნახევრისა.

მ უ ხ ლ ი 29. ადმინისტრაციული კომისია, როგორც თავის ინიციატივით, ისე მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი

კომიტეტის მითითებით ან საწარმოს ადმინისტრაციის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის, დაწესებულების ან ორგანიზაციის თხოვნით აწყობს გამსჯელობა სხდომებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 30. საქმე განიხილება იმ პირის მონაწილეობით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, მისთვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას უფლება გაეცნოს აქტს, რომლის საფუძველზედაც აღძრულია საქმე და სხვა მასალებს, რომლებიც ეხება საქმეს, აგრეთვე უზრუნველყოფილ უნდა იქნას უფლება მისცეს ახსნა-განმარტება დარღვევის არსებითობაზე და განაცხადოს შუამდგომლობა.

საჭიროების შემთხვევაში, საქმის განხილვამდე, ადმინისტრაციული კომისია ავალებს კომისიის წევრს ან საზოგადოებრიობის წარმომადგენელს შეამოწმოს საქმის არსი.

დაუსწრებლად საქმის განხილვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არის მონაცემები, რომ დამრღვევს ეცნობა კომისიის სხდომის დღისა და ადგილის შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში კომისიის სხდომაზე შეიძლება გამოძახებულ იქნან მოწმეები, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მ უ ხ ლ ი 31. კომისიის სხდომაზე დამრღვევის, მოწმეებისა და სხვა პირების გამოძახება წარმოებს არაუგვიანეს 3 დღისა კომისიის სხდომამდე.

მ უ ხ ლ ი 32. ადმინისტრაციულ დარღვევაში პირის დანაშაული დადგინდება დარღვევის ჩადენის შესახებ ოქმში (აქტში) აღნიშნულ მონაცემებისა და კომისიის სხდომაზე საქმის განხილვის დროს მიღებულ მონაცემების საფუძველზე.

მ უ ხ ლ ი 33. ადმინისტრაციული კომისიის სხდომის ოქმში აღინიშნება: სხდომის თარიღი, კომისიის სხდომაზე მონაწილე პირთა გვარები, განსახილველი საქმის შინაარსი და კომისიის გადაწყვეტილება.

მ უ ხ ლ ი 34. დაჯარიმების შესახებ ადმინისტრაციულ კომისიას, ორგანოს ან თანამდებობის პირს გამოაქვს დადგენილება.

მ უ ხ ლ ი 35. კომისიის დადგენილება საქმეზე გამოიტანება და გამოქვეყნდება დაუყოვნებლივ მისი განხილვის დამთავრებისთანავე. დადგენილების გამოტანა სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, როცა პასუხისგებაში მიცემული პირი ცნობილია უდანაშაულოდ ადმინისტრაციული დარღვევის ჩადენაში ან როცა სასჯელი არ არის დადებული.

მ უ ხ ლ ი 36. კომისიის დადგენილებაში სასჯელის დადების შესახებ უნდა იქნას აღნიშნული:

ა) დადგენილების გამოტანის წელი, თვე, რიცხვი და ადგილი;

ბ) დასახელება კომისიისა, რომელმაც საქმე განიხილა;

გ) დამრღვევის გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, მუშაობის (სწავლის) ადგილი და საცხოვრებელი ადგილი;

დ) დარღვევის დრო, ადგილი და არსი;

ე) ადმინისტრაციული სასჯელის სახეობა, ხოლო ფულადი დაჯარიმებისას — მისი ოდენობა, გადახდის ვადა და წესი;

ვ) დადგენილების გასაჩივრების ვადა და წესი.

მ უ ხ ლ ი 37. კომისიის დადგენილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით და მას ხელს აწერენ თავმჯდომარე და კომისიის წევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

მ უ ხ ლ ი 38. კომისიის გადაწყვეტილება სასჯელის დადების შესახებ უნდა ჩაბარდეს დამრღვევს ხელწერილის ქვეშ მისი გამოტანის დღიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადისა.

IV

სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის განხილვის წესი

მ უ ხ ლ ი 39. ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციული სასჯელის დადების უფლება, ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის განხილვისა და სასჯელის დადების დროს უნდა იხელმძღვანელონ იმ წესებით, რომლებიც დადგენილია ადმინისტრაციული კომისიების მიერ საქმის განხილვისა და სასჯელის დადებისათვის (ამ დებულების 3-7, 9-12, 26, 27, 32, 35, 36 და 38 მუხლებით) შემდეგი გამონაკლისით:

ა) საქმეებს განიხილავს სათანადო ორგანო ან თანამდებობის პირი დარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით;

ბ) ადმინისტრაციული დარღვევის ჩამდენი პირისათვის შეტყობინება საქმის განხილვის დღის შესახებ წარმოებს მხოლოდ მისგან პირადი ახსნა-განმარტების მიღების აუცილებლობის შემთხვევაში.

მ უ ხ ლ ი 40. ორგანოებს ან თანამდებობის პირებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციული სასჯელის დადების უფლება, შეუძლიათ მასალები გადასცენ ადმინისტრაციულ კომისიებს დამრღვევის მიმართ ადმინისტრაციული სასჯელის დასადებად.

V

ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ დადგენილების გასაჩივრების წესი

მ უ ხ ლ ი 41. დადგენილება ადმინისტრაციული კომისიის ან სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირისა, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციული სასჯელის დადების უფლება, შეიძლება გაასაჩივროს დამრღვევმა მისთვის ამ დადგენილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

მ უ ხ ლ ი 42. საჩივარი დადგენილებაზე დაჯარიმების შესახებ შეიტანება რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საჩივარი ადმინისტრაციული კომისიის დადგენილებაზე სხვა სასჯელის დადების შესახებ შეიტანება მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტში.

საჩივარი სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილებაზე სხვა სასჯელის (არა ჯარიმის) დადების შესახებ შეიტანება ზემდგომ ორგანოში ან თანამდებობის პირთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI

ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების წესი

მ უ ხ ლ ი 43. დადგენილება დაჯარიმების შესახებ უნდა იქნას აღსრულებული დამრღვევის მიერ მისთვის დადგენილების ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში.

ჯარიმა შეიტანება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში. ქვითარი ჯარიმის გადახდის შესახებ წარედგინება ადმინისტრაციულ კომისიას ან დამჯარიმებელ ორგანოს.

მ უ ხ ლ ი 44. ჯარიმის 15 დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში დადგენილება დაჯარიმების შესახებ იგზავნება დაჯარიმებულის მუშაობის ადგილზე მისი ხელფასიდან ჯარიმის თანხის უდავო წესით დასაკავებლად.

იმ შემთხვევაში, თუ დაჯარიმებული პირი არ მუშაობს დადგენილება დაჯარიმების შესახებ ეგზავნება სასამართლოს აღმასრულებელს დაჯარიმებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მის ქონებაზე გადახდევინების მისაქცევად.

მ უ ხ ლ ი 45. დადგენილებანი სხვა ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ აღსრულდება იმ წესით, რაც განსაზღვრულია ნორმატიული აქტით, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას დარღვევის მოცემული სახისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

378 მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივებისაგან სახელმწიფო ორგანოებში შემოდის მასალები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს იმის შესახებ, რომ ზოგიერთი პირი არაშრომითი შემოსავლით, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების უკანონოდ გამოყენების ხარჯზე აშენებს ან იძენს სახლებს, აგარაკებს და სხვა ნაგებობებს. საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა კოლექტივები გამოთქვამენ სამართლიან აღშფოთებას ამ პირების მოქმედების გამო და შემოაქვთ წინადადებები ასეთი სახლები, აგარაკები და სხვა ნაგებობანი გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების კომუხალურ ფონდს, კოლმეურნეობებს, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ცალკეულ მოქალაქეთა ამგვარი ანტისაზოგადოებრივი მოქმედების შეწყვეტისა და შემდგომში სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობათა არაშრომითი შემოსავლით აშენების ან შეძენის აღკვეთის მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების უკანონოდ გამოყენების ხარჯზე აშენებული ან შეძენილი სახლები, აგარაკები და სხვა ნაგებობანი უნდა ჩამოერთვას უსასყიდლოდ და გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს კომუნალურ ფონდს, კოლმეურნეობას ან სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველყონ ცალკეული პირების მიერ არაშრომითი შემოსავლით სახლის, აგარაკისა და სხვა ნაგებობების აშენების ან შეძენის შესახებ არსებული მასალების გულდასმით შემოწმება, შექმნან ამ მიზნით კომისიები საბჭოს დეპუტატების, კომუნალური და ფინანსო ორგანოების, კოოპერაციული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

შემოწმების შედეგებსა და კომისიის დასკვნას განიხილავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და თუ არსებობს სათანადო საფუძველი, მიიღებს გადაწყვეტილებას შემოწმების მასალების რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში გაგზავნის შესახებ.

3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ იმ სახსრების წყაროების შემოწმებისას, რომლითაც არის აშენებული ან შეძენილი ნაგებობა, აგრეთვე სასამართლოს მიერ ნაგებობის უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, ნაგებობის მესაკუთრეს უფლება აქვს გაეცნოს შემოწმების მასალებს, მისცეს განმარტება და თავის მოსაზრებათა დასადასტურებლად წარადგინოს საბუთები და სხვა მტკიცებანი.

4. მასალების განხილვა არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლის, აგარაკისა და სხვა ნაგებობის მოქალაქეებისაგან უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ წარმოებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს მიერ ღია სამსჯავრო სხდომაზე პროკურორისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

სახალხო სასამართლო დაადგენს რა, რომ სახლი, აგარაკი და სხვა ნაგებობა აშენებულია ან შეძენილია არაშრომითი შემოსავლით, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების უკანონოდ გამოყენების ხარჯზე, მიიღებს დადგენილებას ამ ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს კომუნალურ ფონდში, კოლმეურნეობის ან სხვა კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის გადაცემის შესახებ. ამავე დადგენილებით სახალხო სასამართლოს შეუძლია ნაგებობის ყოფილ მესაკუთრეს და მასთან ერთად მცხოვრებ პირებს ჩამოართვას გასასხვისებელ სახლში საცხოვრებელი ფართობით, აგარაკით და სხვა ნაგებობით სარგებლობის უფლება. იმ შემთხვევაში თუ გამოსასახლებელ პირებს არა აქვთ სხვა საცხოვრებელი ბინა მათ საცხოვრებელი ფართობი მიეცემათ არსებული ნორმების მიხედვით იმ ორგანიზაციის მიერ, რომელსაც გადაეცა სახლმფლობელობა.

5. თუ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ან სახალხო სასამართლო ცალკეულ პირთა მიერ არაშრომითი შემოსავლით ნაგებობათა აშენების ან შეძენის შესახებ მასალების შემოწმებისა და განხილვის დროს დაადგენს ამ პირთა დანაშაულებრივი ქმედობის ნიშნებს, მასალები მათ შესახებ უნდა გაეგზავნოს პროკურორს გამოძიებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 15 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

379 საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით და რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება:

1. ალექსანდრე მიხეილის ძე **აბრამოვს** — პენსიონერს
2. ისაკ დიმიტრის ძე **კიზირიას** — პენსიონერს
3. ვლადიმერ არისტარხის ძე **სამსონაძეს** — საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს
4. ალექსანდრე გიორგის ძე **ფალავანდიშვილს** — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორს
5. ალექსანდრა ბიჭიას ასულ **ჯაფარიძეს** — თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის კონსულტანტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1962 წლის 10 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

380 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

მშენებლის დღესთან დაკავშირებით და ხანგრძლივი საინჟინრო მოღვაწეობისათვის, აგრეთვე თვალსაჩინო გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომელთა დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მოგვცა, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა:

დავით ილარიონის ძე **ქაჯაიას** — „თბილქალაქპროექტის“ მთავარ კონსტრუქტორს

საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორისა:

იოსებ ვასილის ძე **კიკნაძეს** — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ განყოფილების ინჟინერს

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა:

1. სერგი ვასილის ძე **ადამიას** — საპროექტო ინსტიტუტის „გიპროქალაქმშენის“ სოხუმის ფილიალის საინჟინრო ნაგებობათა განყოფილების გამგეს

2. კარაპეტ ვართანის ძე **ალმოევს** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამმართველოს უფროს ინჟინერს

3. ალექსანდრე დავითის ძე **ბრეგვაძეს** — მცხეთის სარაიონთაშორისო „კოლმშენინდუსტრიის“ საბჭოს თავმჯდომარეს

4. ლევან გრიგოლის ძე **გველესიანს** — თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს

5. ნოე გიორგის ძე **გიორგაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ინსპექტორს

6. გრიგოლ თევდორეს ძე **დუმენკოს** — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ განყოფილების უფროსს

7. გიორგი ვარლამის ძე **ემუხვარს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს გზათა სამმართველოს უფროსს

8. ვასილ ლეონტის ძე **ზადოროვს** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ინჟინერ-პოლკოვნიკს.

9. გიორგი სარდიონის ძე **თვალავაძეს** — „მთავართბილმშენის“ № 6 სამშენებლო სამმართველოს უფროსს

10. პავლე ვლადიმერის ძე **თოდრიას** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის განყოფილების უფროსს

11. ვლადიმერ ილიას ძე **იაქაშვილს** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილეს

12. სიმონ ლევანის ძე **იმნაძეს** — „საქენერგოს“ სამმართველოს ჰიდროტექნიკური სამსახურის უფროსს

13. დავით სიმონის ძე **კაპანაძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის მთავარ დისპეტჩერს

14. აპოლონ ვლადიმერის ძე **კვიუინაძეს** — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ სამოქალაქო მშენებლობის სამმართველოს უფროსს

15. შალვა იონას ძე **კუჭავას** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის № 4 სამშენებლო სამმართველოს უფროსს

16. ილია ნიკიფორეს ძე **ლალიძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს

17. ნაპოლეონ ბრონისლავის ძე **ლობოცკის** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მთავარ ინჟინერს

18. ვიქტორ სიმონის ძე **ლობჟანიძეს** — „თბილქალაქპროექტის“ სექტორის უფროსს

19. დავით როსტომის ძე **ლომაძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს

20. ნიკოლოზ სიმონის ძე **მეტრეველს** — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. პეტრე პეტრეს ძე **პეტრიაშვილს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველის მოადგილეს

22. ვლადიმერ გიორგის ძე **ჟორჟოლაძეს** — „ენგურჰესმშენის" საგზაო სამშენებლო სამმართველოს უფროსს

23. სიმონ გრიგოლის ძე **რუტკოვსკის** — ინსტიტუტ „ჰიდროენერგოპროექტის" თბილისის ფილიალის განყოფილების უფროსს

24. მიხეილ ტარასის ძე **სანიკიძეს** — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" მმართველის მოადგილეს

25. ალექსანდრე საბას ძე **სეხნიაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 9 ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს

26. კირილე ნიკიფორეს ძე **უკლებას** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს უფროსს

27. ალექსანდრე გიორგის ძე **ფარაჯანიშვილს** — ამიერკავკასიის რკინიგზის საპროექტო ინსტიტუტის განყოფილების გამგეს

28. გუგული ხაიმის ძე **შათაშვილს** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ ინჟინერს

29. ილია ივანეს ძე **შუკაკიძეს** — საპროექტო ინსტიტუტის „საქტყემრეწვპროექტის" მთავარ ინჟინერს

30. მიხეილ ვიქტორის ძე **ცენტერაძეს** — „საქქალაქსახმშენპროექტის" მთავარ ინჟინერს

31. ზაქარია დიანოზის ძე **ცისკარიშვილს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 6 სამშენებლო სამმართველოს უფროსს

32. ზაქარია ნესტორის ძე **წერეთელს** — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქენერგოპროექტის" განყოფილების უფროსს

33. ალექსანდრე ანდრიას ძე **ჭანტურიას** — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების გამგის მოადგილეს

34. შოთა ბიქტორის ძე **ჭედიას** — „მთავართბილმშენის" სამშენებლო სამმართველოს „თბილელექტრომონტაჟის" უფროსს

35. ვახტანგ ალექსანდრეს ძე **ჭურაძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მმართველს

36. შალვა ანდრიას ძე **ჯაბუას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს

37. ვარლამ ტარასის ძე **ჯაფარიძეს** — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 11 აგვისტო.